პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 16 ნოემბერი, 1947 წ. № 229 (8013). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ფართო გზა სტახანოვურ მოძრაობას — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან (1-ლი გვერდი).
სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა ერთსულოვნად გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელებას (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 და მე-3 გვერდი).
მშრომელები საარჩევნო კომისიებში ასახელებენ მოწინავე საბჭოთა პატრიოტებს (მე-4 გვერდი).
განუხრელად ვზარდოთ სტახანოველთა რიგები (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ფართო გზა სტახანოვურ მოძრაობას

სტახანოვური მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდმა სტალინმა გენიალურად განსაზღვრა ამ მოძრაობის უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა. „განა ცხადი არ არის, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა სტახანოველთა სრულიად-საკავშირო პირველ თათბირზე, — რომ სტახანოველები ნოვატორები არიან ჩვენს მრეწველობაში, რომ სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის მომავალს, რომ იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის თესლს, რომ იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად?“

სტახანოვური მოძრაობის წარმოშობიდან განვლილმა წლებმა მთელი სიცხადით დაადასტურეს დიდი სტალინის ეს სიტყვები. სტახანოვური მოძრაობა უდიდესი სისწრაფით გავრცელდა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში — ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებში, მაღაროებში, ტრანსპორტზე, ახალმშენებლობებზე, ფართოდ მოედო საკოლმეურნეო სოფელს.

სტახანოველებმა, სოციალისტური შრომის ამ ნოვატორებმა უდიდესი როლი შეასრულეს ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე. დაუფასებელი იყო მათი თავდადებული შრომა დიდი სამამულო ომის წლებში. კიდევ უფრო დიდია სტახანოველთა დამსახურება მეოთხე სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სტახანოვურმა მოძრაობამ, სოციალისტური შეჯიბრების ამ უმაღლესმა ფორმამ, წარმოშვა პროფესიათა შეთავსება, მრავალდაზგონობა, სტახანოვური ბრიგადები, ცვლები და საამქროები, გზა გაუკაფა ნაკლები მუშახელით საწარმოო გეგმების შესრულებას. მუშაობის მატროსოვული მეთოდი, რაც ასე ფართოდ დაინერგა წელს ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, სტახანოვური მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმაა.

ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობა სწრაფად იმუშებს მეორე მსოფლიო ომით მიყენებულ ჭრილობებს. მრეწველობა თვიდან თვემდე განუხრელი აღმავლობის გზით მიდის. „ყოველთვიურად დიდდება სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. საკმაოა ითქვას, რომ ახლახან გასულ ოქტომბრის თვეში ჩვენი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ უკვე მიაღწია 1940 წლის საშუალო-თვიურ გამოშვებას. ამრიგად, ახლა ჩვენი მრეწველობის პროდუქციის გამოშვებამ უკვე მიაღწია **ომამდელ დონეს**“. ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ეს განცხადება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1947 წლის 6 ნოემბერს მჭერმეტყველურად ადასტურებს იმას, რომ მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს ჩვენი სამშობლოს მშრომელები დიდი წარმატებით ანაღდებენ.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში, მთელი სახალხო მეურნეობის უდიდეს აღმავლობაში განსაკუთრებულია სტახანოველთა მრავალ მილიონიანი არმიის დამსახურება. ამ არმიას ამშვენებს ჩვენი რესპუბლიკის ათეულათასობით სტახანოველი.

სტახანოვური მოძრაობა განსაკუთრებით განვითარდა მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე სამეურნეო წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შემდეგ. ლენინგრადელთა მსგავსად, საქართველოს სს რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებმა 7 ნოემბრისათვის გაანაღდეს წლიური დავალებანი და ახლა ისინი ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა თვიდან თვემდე აღმავლობის გზით მიდის. ამ აღმავლობის საფუძველია სტახანოვური მოძრაობის გაძლიერება, ტექნიკის უკეთ დაუფლება, მანქანა-დანადგარების საფუძვლიანი ათვისება, სტახანოვური განრიგით მუშაობა, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება.

თვითეულ საწარმოში დღეს ჩვენ ათობით და ასობით გვყავს ისეთი მუშები, რომლებმაც თავისი ტექნიკური ცოდნის გაღრმავებით. შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებით, ტექნიკის ღრმად დაუფლებით, დაზგა-დანადგარების ტექნოლოგიაში გაუმჯობესების შეტანით მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშები მოგვცეს. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ასზე მეტმა სტახანოველმა 10 თვეში ორ-სამი წლის ნორმები შეასრულა. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ 26 კომისრისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნების, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, საორთქლმავლო და საელმავლო დეპოების, მაუდ-კამვოლისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების, ქუთაისის მაუდის ფაბრიკისა და ტყავ-ფეხსაცმელის კომბინატის, ბათუმის სტალინის სახელობის ნავთგადამამუშავებელი ქარხნის, საგემთუნო, მსუბუქი, ადგილობრივი, საშენი მასალების მრეწველობის ათობით საწარმოს სტახანოველები. მრავალ საწარმოში ჩვენ გვყავს ისეთი სტახანოველები, რომლებმაც წელიწადსა და ათ თვეში ხუთი-ექვსი წლის გეგმები გაანაღდეს. ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში, ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში, ნავთსარეწებზე, ახალმშენებლობებზე ბლომად არიან წარჩინებული სტახანოველები, სოციალისტური შრომის ნოვატორები, რომლებიც სისტემატურად ორ-სამ ნორმას ანაღდებენ.

ეს წარჩინებული სტახანოველები, თავიანთი საქმის მაღალკვალიფიციური ოსტატები ხალისით გადასცემენ თავიანთ გამოცდილებას წარმოებაში ახლად მოსულ მუშებს, ეხმარებიან მათ პროფესიათა დაუფლებაში, სტახანოვური შრომის მეთოდების ათვისებაში. ამიტომ მრავლდება სტახანოველთა რიგები ყოველდღიურად.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ყველაფერი გავაკეთეთ სტახანოვური მოძრაობის განვითარებისათვის. ჩვენს მრეწველობას და საერთოდ სახალხო მეურნეობას განუწყვეტლივ ახალ-ახალი კადრები ემატებიან. საჭიროა ყოველდღიური შეუნელებელი მუშაობა ამ ახალი კადრების აღზრდისათვის, რათა ისინი მალე დაეუფლონ ჩვენი მრეწველობის რთულ ტექნიკას, სწრაფად აითვისონ პროფესიები, ჩადგნენ სტახანოველთა რიგებში.

სტახანოვური მოძრაობის ძალა მისი მასობრივობაა. წარმოების თვითეული ხელმძღვანელის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა ისე წარმართონ მუშაობა თავიანთ საწარმოში, რომ თვითეული მუშა სტახანოველი გახდეს. იმ მრავალრიცხოვანი სტახანოველების გვერდით, რომლებიც საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ, ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი მუშები, რომლებიც დავალებას ვერ ასრულებენ.

აუცილებელია სტახანოვური სკოლებისა და ტექნიკური სწავლების წრეების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება, თვითეული მუშისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ იგი დღითიდღე ადიდებდეს შრომის ნაყოფიერებას, გადაჭარბებით ასრულებდეს დავალებას.

საბჭოთა ხალხი გაცხოველებით ემზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ჩვენში დამყარებული საუკეთესო ტრადიციის მიხედვით ქალაქად და სოფლად ჩაღდება შეჯიბრება არჩევნების დღისათვის ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად. სათავეში ჩავუდგეთ მშრომელთა ამ პატრიოტულ მოძრაობას, კიდევ უფრო გავაძლიეროთ სტახანოვური მოძრაობა, მოვიპოვოთ ახალი საწარმოო გამარჯვებანი!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ 15 ნოემბერს, დილის 6 საათზე, ქალაქ თბილისში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ამხანაგი

სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1947 წ. 15 ნოემბერს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია.

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი

სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა ერთსულოვნად გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელებას

12 ნოემბერს ელექტროქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილ თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად დაასახელეს თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის მახლობელი და ძვირფასი ადამიანი — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. ელექტროქარხნელთა წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის, ფაბრიკა „განთავისუფლებული შრომის“ და მატყლსართავი ფაბრიკის კოლექტივებმა. თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი მხურვალე სიყვარულისა და ერთგულების დემონსტრაციად გადაიქცა, საწარმოთა კოლექტივებმა დაავალეს თავიანთ წარმომადგენლებს მხარი დაუჭირონ დიდი ბელადის კანდიდატურას საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე.

14 ნოემბერს მოწვეულ იქნა სტალინის საარჩევნო ოლქის ფაბრიკა-ქარხნების მშრომელთა, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთა თათბირი მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ წინადადებათა განსახილველად.

თათბირი მიმდინარეობდა ახალი თეატრის შენობაში, რომელიც სტალინის რაიონის მშრომელებმა საჩუქრად მიიღეს ოქტომბრის 30-ე წლისთავის წინ. აქ მოვიდნენ მეღითონეები, ელექტრიკოსები, მელამპეები, ფეიქრები, ზუსტი მანქანების ოსტატები, შემქმნელნი შესანიშნავი პროდუქციისა, რომელსაც სახალხო მეურნეობისათვის უშვებენ დედაქალაქის სტალინის რაიონის საწარმოები.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირის გახსნისას ელექტრონათურების ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ღ. ი. ბოგატოვმა განაცხადა, რომ თათბირს ესწრება 1.000 კაცი, რომლებიც სტალინის საარჩევნო ოლქის 21.650 მშრომელის წარმომადგენელნი არიან.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშით დამსწრენი ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

სიტყვას პირველი ითხოვს ელექტროქარხნის ინჟინერი ვ. ა. ზავარზინი. იგი ლაპარაკობს ელექტროქარხნელთა გადაწყვეტილების შესახებ, რასაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ოლქის მშრომელებმა, რომლებმაც დიდი სტალინი დაასახელეს მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად.

— მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელება, — ამბობს ტაშის გრიალში ამხ. ზავარზინი, — კვლავ ნათლად მოწმობს ხალხის ღრმა სიყვარულსა და ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისადმი, მოწმობს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ურღვევობას.

საბჭოთა ხალხი უდიდესი სიამაყითა და სიხარულით პირველად როდი ასახელებს ამხანაგ სტალინს ხელისუფლების თავის ორგანოებში ასარჩევად, და ყოველთვის არჩევნები გადაიქცევა ხოლმე პარტიისა და დიდი ბელადისადმი ხალხის სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად!

მხურვალედ და გულში ჩამწვდომად ლაპარაკობს საბჭოთა სპეციალისტი ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურების შესახებ ხალხის წინაშე, ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების შესახებ, მის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიისა და მისი გენიალური ბელადის ხელმძღვანელობით.

დარბაზში მქუხარე ოვაცია იწყება ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, როცა ინჟინერი ზავარზინი ელექტროქარხნის კოლექტივის დავალებით მოუწოდებს დამსწრეთ—მხარი დაუჭირონ წინადადებას მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ. პარტერიდან იარუსებამდე ჭექს ტაში. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „ვაშა ამხანაგ სტალინს!“.

ტრიბუნაზეა იზმაილოვის სართავ-საქსოვი ფაბრიკის ფეიქარი ანტონინა ივანეს ასული კულაგინა. მთელი დარბაზის ტაშის გრიალში იგი აცხადებს, რომ ფაბრიკის კოლექტივმა დაავალა მას გადასცეს წინასაარჩევნო თათბირს ფეიქარ ქალთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება — მხარი დაუჭირონ ელექტროქარხნის კოლექტივის წინადადებას მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ.

— მე უპარტიო მუშა ვარ, — ამბობს ამხ. კულაგინა, — მაგრამ საქმე, რომლისთვისაც პარტია იბრძვის, ჩემს საკუთარ და მშობლიურ საქმედ მიმაჩნია. მთელი ძალღონით ვცდილობ დავეხმარო პარტიას! 25 დაზგას ვემსახურები და ჩემი წლიური ნორმა 19 ოქტომბერს შევასრულე. მე გეგმის გადამეტებით უკვე მოვქსოვე 5.500 მეტრი ქსოვილი.

მხურვალე ტაშით ეგებება აუდიტორია საბჭოთა პატრიოტის შრომის პატაკს. ახალი ძალით გაისმის ტაში, როცა ანტონინა ივანეს ასული აცხადებს, რომ მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების აღსანიშნავად ვალდებულებას კისრულობს წლის დამლევამდე მოქსოვოს წლიური დავალების გადამეტებით სულ მცირე 29 ათასი მეტრი ქსოვილი. მგზნებარე, გულის სიღრმიდან ამომდინარე სიტყვებით ამთავრებს ფეიქარი თავის გამოსვლას:

— როცა ჩაუფიქრდები, თუ რა დიადი გზა გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ, გული სიამაყით გევსება ჩვენი მძლავრი საბჭოთა ხალხისათვის, მადლობით ჩვენი დიადი პარტიისადმი და გინდა სულითა და გულით წამოიძახო:

— ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო სტალინ! ქალების სახელით მადლობას მოგახსენებთ თქვენი დიდი შრომისათვის ხალხის საკეთილდღეოდ! (მქუხარე ტაში).

ტრიბუნაზე ზედიზედ იცვლებიან ორატორები. კომუნისტები და უპარტიოები, ხანში შესული ადამიანები და საბჭოთა სამშობლოს მიერ აღზრდილი ახალგაზრდობა, სხვადასხვა პროფესიების ადამიანები, ყველანი ერთსულოვნად გამოსთქვამენ თავიანთ გრძნობას, ფიქრსა და მისწრაფებას, ყველა საბჭოთა ადამიანის გრძნობას, რომ გამსჭვალული არიან ხალხის ბედნიერების შემოქმედის — დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მადლობით.

გამოდის საინსტრუმენტო ქარხნის ზეინკალი ალექსი გიორგის-ძე პარფენოვი. თავისი საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სახელით იგი მხურვალედ უჭერს მხარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კანდიდატურას. ლაპარაკობს რა იმ ერთსულოვნების შესახებ, რომლითაც შეხვდნენ ელექტროქარხნელთა წინადადებას, ამხ. პარფენოვი აცხადებს:

— იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა თავისი სიცოცხლის მიზნად დაისახა ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ჩვენ, მოსკოველები, და კერძოდ სტალინის რაიონის მშრომელები, ყოველდღე ვგრძნობთ ამ სტალინურ ზრუნვას. ამას მოწმობენ იზმაილოვში აგებული ახალი სახლები, ჩვენი კეთილმოწყობილი ბაღები, მოასფალტებული ქუჩები, გაზი ათასობით ბინაში, მეტროპოლიტენის სადგურები, ჩინებული კინო „როდინა“, ახალი რაიონული თეატრი, რომელშიც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით.

რაიონის მოწინავე კოლექტივის წარმომადგენელი შემდეგ ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ უპასუხებენ შრომის ადამიანები სახელმწიფოს ამ ზრუნვას. ოქტომბრის 30-ე წლისთავისათვის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივმა ვადამდე, 2 ნოემბერს, შეასრულა წლიური გეგმა. ამჟამად საინსტრუმენტო ქარხნის მუშაკებმა ახალი სოციალისტური ვალდებულება იკისრეს — ოთხ წელიწადში შეასრულონ ქარხნის ხუთწლიანი გეგმა.

თათბირის მონაწილენი მქუხარე ტაშით ეგებებიან ამხ. პარფენოვის სიტყვებს. იგი წინადადებას იძლევა სთხოვონ ამხანაგ სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს სტალინის საარჩევნო ოლქში მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე.

მკაფიო სიტყვა წარმოსთქვა რსფსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა ბარბარე პავლეს ასულმა სმირნოვამ. უპარტიო პედაგოგი, რომელსაც თავისი სიცოცხლის ათეული წლები საბჭოთა პატრიოტების თაობათა აღზრდისათვის მოუნდომებია, უდიდესი კმაყოფილებით ლაპარაკობს ჩვენი ადამიანების შესანიშნავ მორალურ თვისებებზე, ადამიანებისა, რომლებიც დიდმა სტალინმა აღაფრთოვანა თავდადებული შრომისათვის, ასწავლა სამშობლოს სიყვარული, დაცვა და მისი ერთგული სამსახური. სტალინის რაიონის მასწავლებელთა სახელით ამხ. სმირნოვა მხურვალედ უჭერს მხარს დიდი ბელადის კანდიდატურას.

საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანმა ა. ნ. ნიკიფოროვმა რაიონის 12 ათასი კომუნისტის სახელით მხურვალედ დაუჭირა მხარი მშრომელთა კოლექტივების მრავალ წინადადებას ამხანაგ სტალინის კანდიდატურის დასახელების შესახებ. მან ილაპარაკა უდიდეს გარდაქმნათა შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანაში ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით განხორციელდა და მრავალი მაგალითი მოიყვანა სტალინის რაიონის ცხოვრებიდან.

რაიონის მშრომელებმა შეასრულეს ფიცი, რომელიც მათ რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში ბელადს მისცეს: 24 ოქტომბერს რაიონის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 11 თვის პროგრამა და გეგმის გადამეტებით მისცა ჩვენს ქვეყანას 130 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ავტომობილის ელექტრომოწყობილობის ქარხნის ინჟინერმა ს. ნ. პოკროვსკიმ თავის სიტყვაში ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ამაყობს საბჭოთა ადამიანი საყვარელი საბჭოთა სამშობლოთი, ილაპარაკა მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანთა შემოქმედებითს შრომაზე.

მან განაცხადა: — ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არის დამარღვეველი კრიზისები და უმუშევრობა, სადაც ყველა შესაძლებლობაა შექმნილი საწარმოო ძალების განუწყვეტელი განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა-ამაღლებისათვის, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში! სოციალიზმისათვის ჩვენი ხალხის მთელი ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლების —ლენინისა და სტალინის სახელებთან. აი ამიტომ მე უპარტიო ინჟინერი მხურვალედ ვუჭერ მხარს ამხანაგ სტალინის კანდიდატურის დასახელებას! **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

საკავშირო ალკკ რაიკომის მდივანმა ვ. ი. ხარაზოვმა სტალინის საარჩევნო ოლქის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხანაგ სტალინის კანდიდატურის დასახელებას:

— ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანი, — განაცხადა მან,—თავისი ბედის პატრონია, თავისი ბედნიერების შემოქმედია. საბჭოთა სამშობლომ ფართოდ გაუღო სკოლების, უნივერსიტეტების, ინსტიტუტების კარი ახალგაზრდობას, გზა გაუხსნა მას კულტურისა და მეცნიერების ყველა საუნჯისაკენ. ახალგაზრდა ამომრჩევლები ერთსულოვნად უერთდებიან ელექტროქარხნელთა წინადადებას. ამხანაგ სტალინისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას მივცემთ ჩვენს მშვენიერ სამშობლოს, ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მივყევართ! **(მქუხარე ოვაცია).**

რეზოლუცია

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩევნების სტალინის № 2 საარჩევნო ოლქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირისა

1. სტალინის საარჩევნო ოლქის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, კომუნისტურ ორგანიზაციათა, პროფესიულ კავშირთა, კომკავშირულ ორგანიზაციათა და მშრომელთა საზოგადოებების საერთო კრებების წარმომადგენელთა წინასაარჩევნო თათბირი მხურვალედ უჭერს მხარს ელექტროქარხნის, მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი ფაბრიკის „განთავისუფლებული შრომის“ და მე-14 მატყლსართავი ფაბრიკის მშრომელთა საერთო კრებების ერთსულოვან გადაწყვეტილებას სტალინის საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის — **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** დასახელების შესახებ.

2. სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი სთხოვს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე.

* * *

წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირები და მიიღეს მიმართვა სტალინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი — არჩევნების საზეიმო დღეს —1947 წლის 21 დეკემბერს ერთსულოვნად მისცენ ხმა ჩვენი ხალხის ყველაზე ძვირფას და მახლობელ ადამიანს, დიდ სტალინს. (საქდესი).

ვოლხოვის საქარხნო საარჩევნო ოლქი

ვოლხოვის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა ლენინგრადის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ამხანაგები ა. ა. ჟდანოვი და ვ. გ. ტრუსოვა

ვოლხოვი, 12 ნოემბერი. (საქდესი). ვოლხოვის კიროვის სახელობის, ალუმინის ქარხნის კოლექტივის ხალხმრავალ კრებაზე, რომელიც ლენინგრადის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას მიეძღვნა, პირველი გამოვიდა ელექტროლიზური საამქროს სამხრეთ კორპუსის უფროსი ამხ. ფ. პ. შაკინი. მან დაასახელა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის კანდიდატურა.

— მთელი ჩვენი ქვეყანა,—სთქვა ამხ. შაკინმა, — სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვს იცნობს როგორც ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს. ანდრია ალექსანდრეს-ძე მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას. მშენებლობის მშვიდობიან დღეებშიც და ომისა და ბლოკადის მკაცრ დროსაც იგი ლენინგრადელებს რაზმავდა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, ასწავლიდა მათ უშიშარობასა და მამაცობას მტერთან ბრძოლაში, ასწავლიდა ყოველგვარი სიძნელის გადალახვას.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა ურდოები და მოიპოვეს დიადი გამარჯვება.

ამხ. ჟდანოვის სახელთან დაკავშირებულია ლენინგრადის, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის აყვავება. ამხ. ჟდანოვი არის ხალხის ნამდვილი მსახური, დაუღალავი მებრძოლი მისი ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

დარბაზმა მქუხარე ოვაციით უპასუხა ამ წინადადებას.

ელექტროლიზური საამქროს უფროსმა ამხ. ელიზაროვმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხ. ჟდანოვის კანდიდატურას და საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა აგრეთვე ინჟინერი ვალენტინა გრიგოლის ასული ტრუსოვა.

— ამხ. ტრუსოვამ თავი გამოიჩინა როგორც ჩინებულმა საწარმოო მუშაკმა და აქტიურმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ,—სთქვა ამხ. ელიზაროვმა. —მისი ცვლა მთელი წლის განმავლობაში პირველობას ინარჩუნებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა: ვოლხოვის საქარხნო № 107 საარჩევნო ოლქში, მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელოს ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი და ვალენტინა გრიგოლის ასული ტრუსოვა.

ამხანაგ ს. ნ. ჯანაშიას ხსოვნას

ალარ გვეყავს ამხანაგი სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია. ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ შეწყვიტა მგზნებარე ტატრიოტის, ლენინ-სტალინის დიადი საქმის უსაზღვრად ერთგული გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სიცოცხლე.

ამხანაგი ჯანაშია მთელ თავის დაუღალავ ენერგიას, მთელ თავის ბრწყინვალე ნიჭს ხალხის, სოციალისტური სამშობლოს სამსახურს აზარჟავ. ინტენსიურ, მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას პროფესიულ კავშირთა, სამეცნიერო საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა ხაზით. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების ღრმად შეთვისებამ, კომუნიზმის იდეათა გამარჯვების ურყეგმა რწმენამ იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში მოიყვანა. 1940 წელს ამხანაგი ჯანაშია შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

ამხანაგ ჯანაშიას კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა და ნაშრომი საქართველოს ისტორიაში, რომლებშიც ახლებურად, მარქსისტულად არის გაშუქებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები — ქართველი ხალხის და მისი სახელმწიფოებრივობის წარმოშობის საკითხი, საქართველოს განვითარების მონათმფლობელური და ფეოდალური ეტაპების საკითხი და სხვ.

ამხანაგ ჯანაშიას ეკუთვნის მთავარი დამსახურება საქართველოს ისტორიის შესანიშნავი სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში, რომელსაც მალალი შეფასება მისცა საქართველოს და საბჭოთა კავშირის მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ და რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა.

ამხანაგი ჯანაშია მუდამ ეხმაურებოდა ყველა აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ პრობლემას. მას. მისი ბრწყინვალე გამოსვლები ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში.

ფასდაუდებელია ამხანაგ ჯანაშიას დამსახურება ისტორიკოსთა და არქეოლოგთა კადრების მომზადებისა და გამოზრდის საქმეში, არქეოლოგიური გათხრების მოწყობის საქმეში, რომლებმაც საქართველოს ძველი კულტურის უნიკალური ძეგლები შეესინჯნა მეცნიერებას.

დიდი შრომა და ენერგია მოახმარა ამხანაგმა ჯანაშიამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნის, განმტკიცებისა და განვითარების საქმეს. იგი ამ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო მისი დაარსების დღიდან. ამხანაგი ჯანაშია, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ისტორიკოსი, არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. მოწონაგე მეცნიერი და მოქალაქე, გულისხმიერი ხელმძღვანელი და ალმზრდელი, ამხანაგი ჯანაშია დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ინტელიგენციასა და მოსწავლე ახალგაზრდობაში. მან თავისი დაუღალავი მეცნიერული და საზოგადო მოღვაწეობით მშრომელთა ნდობა მოიპოვა. 1946 წლის თებერვალში ამხანაგი ჯანაშია არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ამხანაგ ჯანაშიას დამსახურებას სამშობლოს წინაშე — იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. მას ორჯერ მიეკუთვნა სტალინური პრემია, აგრეთვე მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ამხანაგ ჯანაშიას ხსოვნა უკვდავი იქნება ქართველი ხალხსა.

ჯ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, გ. სტურუა, მ. ბარამია, ა. შარია, ა. თოფფურიძე, ვ. ბუჩიკაშვილი, ზ. კეცხოველი, ვ. ბაძრაძე, ს. ოფსაძე, ნ. ოსიანი, ა. რაფავა, ვ. გოგუა, ი. კოპლაძაშვილი, ა. ციმპაკურიძე, ბ. კარანაძე, ნ. მუსხელიშვილი, რ. აბლაძე, ვ. კუპარაძე, ნ. კეცხოველი, ნ. ბერძენიშვილი,

ცნობა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშიას დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილია კომისია ამხანაგების ზ. ნ. კეცხოველის (თავმჯდომარე), პ. ა. შარიას, ნ. ი. მუსხელიშვილის, გ. ა. გოჩაშვილის, ვ. ი. ეგნატაშვილის, რ. ი. აგლაძისა და ნ. ა. ბერძენიშვილის შემადგენლობით.

აკადემიკოსს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ს. ნ. ჯანაშიას დაკრძალვის მოგონების კომისიისადმი

კუბის აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას ნეშტით ორშაბათს, 17 ნოემბერს, დასვენებულ იქნება თბილისის ოფიცერთა სახლის დიდ დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 16).

განსვენებულ ამხ. ს. ნ. ჯანაშიასთან გამოსათხოვებლად შესვლა თავისუფალი იქნება 17 ნოემბრის დღის 3 საათიდან საღამოს 8 საათამდე და 18 ნოემბერს დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება 17 ნოემბერს საღამოს 8 საათზე და 18 ნოემბერს დღის 3 საათზე.

გამოსვლენება 18 ნოემბერს დღის 3 საათზე.

დაკრძალვა მთაწმინდის პანთეონში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 15 ნოემბერს, დილის 6 საათზე გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი

სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება: გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, უნივერსიტეტის პროფესორის, აკადემიკოს

სიმონ ჯანაშიას

გარდაცვალებას.

ბრძანებულება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სოფლის საბჭოს (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების“ 36-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

მშრომელთა დეპუტატების აბაშის რაიონული საბჭოს არჩევნების აბაშის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ქოლოგა** გიორგი ალექსის-ძე — აბაშის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჯოლოჯია** გიორგი ივანეს-ძე — აბაშის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **კუტია** ნინო მამანის ასული — აბაშის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები — **გახოკიძე** შაშე ივანეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ჩიჩია** ოლოა თეიმურაზის ასული—აბაშის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ქობულია** სილოვან პორფილეს-ძე — თავმჯდომარე-ავიაქიმის აბაშის რაიონული საბჭოსაგან, **კუპუხიძე** პაპელ ნესტორის-ძე — სოფელ ნიუსაკოვოს მახარძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **გოჩოლეიშვილი** ოლოა ეკგენის ასული — სოფელ ოხტოფოს ბერრის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ბოგაშვილი** ელენე ივანეს ასული — სოფელ ბაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ადიგენის რაიონული საბჭოს არჩევნების ადიგენის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **სარაშვილი** ედუარდ ოსეფის-ძე—ადიგენის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომრის მოადგილე — **პეტაშვილი** სიმონ იაკობის-ძე—სოფელ ჟოლა მოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **შუბლაძე** მალეა ვარდენის-ძე — თავდაცვა-ავიაქიმის ადიგენის რაიონული საბჭოსაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **მანიაძე** ალექსანდრე ვიქტორის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ადიგენის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ჩაგანავა** ტატიანა ნესტორის ასული — სოფელ ადიგენის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **მხეიძე** ფარნაოზ აკაკის-ძე — კორორატ აბასთუმნის მუშამოსამსახურეებისა და სამედიცინო პერსონალისაგან, **ლომბაანიძე** კლავდია სპირიდონის ასული — სოფელ მლაშის სტურუს სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ჩხიკვაძე** ქსენია ნესტორის ასული — ზოიელი ჯგრისა და წითელი ნახევრამთვარის საზოგადოების ადიგენის რაიონიმისაგან, **გვარჯალაძე** ტატიანა კაიაიანეს ასული — ადიგენის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონული საბჭოს არჩევნების ამბროლაურის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბიბილაშვილი** მელქონ ალფეოზის-ძე — ამბროლაურის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჭელიძე** ვასილ მელატონის-ძე — ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ტყბაძლაძე** ელენე ტრიფონის-ძე — ამბროლაურის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ავაბაძე** დანიელ კონსტანტინეს-ძე — ამბროლაურის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ბოკორიშვილი** დარიკო ზურაბის ასული — სოფელ ძირაგეულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ჯანელიძე** კლავდია მიხეილის ასული—სარეწოო არტელ „შრომის“ მუშამოსამსახურეებისაგან, **ტაბუცაძე** კესარია გიგოს ასული — სოფელ გორიამპროლაურის კოლმეურნეობის „ძალა ერთობაშია“ წევრებისაგან, **მეერვალიშვილი** თინა სიმონის ასული — ამბროლაურის რაიონის მტს-ებისა და ადმინმომქმედი ორგანოების მუშამოსამსახურეთა პროფკავშირისაგან, **მდგინეშვილი** გიორგი მალაქიას-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ასპინძის რაიონული საბჭოს არჩევნების ასპინძის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **შარიძე** სეგალტი ზაქარის-ძე — ასპინძის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ზაგაშვილი** ზაქარია ალექსანდრეს-ძე — სოფელ იფიმლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ხსნილაძე** ბაშა ირაკლის ასული — ასპინძის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ცინაძე** ეფგენია კლოსტრატეს ასული — სოფელ ასპინძის ყაგაზოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ფოსხოშვილი** პეტრე ივანეს-ძე — სოფელ ნიზბაბერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ისაკაძე** ლეკან მიხეილ ს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ასპინძის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ზედგინიძე** სოფიო პაველეს ასული — სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ახალქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების ახალქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლარიონაი** გრიგოლ ოფავლის-ძე — ახალქალაქის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ეგაიზარიანი** ვაზიკ ბაბაქის ასული — ახალქალაქის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **მანგოანი** ვაროს მანუკის-ძე — ახალქალაქის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **სოგომონიანი** არშაკ აკოფის-ძე — ახალქალაქის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **მურადიანი** მოგაეს სეფრაის-ძე — ახალქალაქის მტს-ის მუშამოსამსახურეთა და ინჟენერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ოგანნისიანი** სათენიკ ზურაბის ასული — სოფელ ბორჩნიას მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ოიერინი** მიხეილ ფილიპეს-ძე — თავდაცვა-ავიაქიმის ახალქალაქის რაიონული საბჭოსაგან, **მიქელაძე** ნინო არჩილის ასული — სოფელ ოკამის ბახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ლაზარაშვილი** თამარ ქიტაკა ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ახმეტის რაიონული საბჭოს არჩევნების ახმეტის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბუცხრაკიძე** ვიტენაგ გიორგის-ძე — ახმეტის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ღლონტი** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — ახმეტის ნეტ-ყოს სახერხი ქარხნის მუშამოსამსახურეთა და ინჟენერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ინანიშვილი** ანა ირაკლის ასული — ახმეტის რაიონის პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **მალვინიშვილი** დიმიტრი გიორგის-ძე — ახმეტის რაიონის საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან, **მძეგაშვილი** ეფიერ გიორგის ასული — ქოსტაურის საშუალო სკოლის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ფარცოყანაშვილი** სპირიდონ ლევანის-ძე—სოფელ ბირკიანის შეერნიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **გოდერძიშვილი** მაკრინე ალექსანდრეს ასული — სოფელ მატანის ახახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **დარჩიაშვილი** ეფერ სიმონის ასული — სოფელ ოყოლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ბაშმელაშვილი** ამირან ზაქარიას-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ახმეტის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ახალციხის რაიონული საბჭოს არჩევნების ახალციხის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ახვლედიანი** ბეგლარ ალექსანდრეს-ძე — ახალციხის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მათევოსიანი** ვართან მისაკის-ძე — სოფელ ცირის სპანდარიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ყანჩაველი** ქეთევან იოსიფის ასული — ახალციხის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ვაროფავანიანი** ლეონ არაბის-ძე — ახალი ზაბეხის მშენებლობის ახალციხის სამმართველოს მუშამოსამსახურეთა და ინჟენერ-ტექნიკეფი მუშაკებისაგან, **მეხნიფი** ვახტანგ ალექსანდრეს-ძე—საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ახალციხის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ხარისჩარაშვილი** ელენე სიმონის ასული — ახალციხის რაიონის მტს-ებისა და სამოწყობმქმედი ორგანოების მუშამოსამსახურეთა პროფკავშირისაგან, **გოკსაძე** ბაბილონის სერგის ასული — სოფელ ურაველის 26 კომლიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ბებნაძე** ნინო გიორგის ასული — სოფელ ვალეს ბახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **პოეოიაროფი** ანდრია ვასილის-ძე—თავდაცვა-ავიაქიმის ახალციხის რაიონული საბჭოსაგან.

მშრომელთა დეპუტატების ბოგდანოვკის რაიონული საბჭოს არჩევნების ბოგდანოვკის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ყაზარიანი** უსიკ ავეტისის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კარსლიანი** ელისო თევანის ასული — ბოგდანოვკის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ავაკიანი** აკოფ არეთინის-ძე — ბოგდანოვკის მტს-ის მუშამოსამსახურეთა და ინჟენერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **დადიანი** ალექსანდრე ვარლამის-ძე—წითელი ჯგრისა და წითელი ნახევრამთვარის საზოგადოების ბოგდანოვკის რაიონიმისაგან, **კალმაკოვა** ვერა ფროლის ასული—ადიგენ სპასოკოვის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ წევრებისაგან, **ხტაბმოლოცანი** ამაიაკ არეთინის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ბოგდანოვკის რაიონული ორგანიზაციისაგან, **კორნელენა** მუშა ბორისის ასული — ბოგდანოვკის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **მზოკანი** სოფიო გაგიკის ასული — სოფელ ხოჯგაბეკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ოსანელი** ალიტენ ალექსანდრეს-ძე — სოფელ ბოგდანოვკის ბოგდანოვის სახელობის კოლმეურნეობის „ავანგარდის“ წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის რაიონული საბჭოს არჩევნების ბოლნისის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კავლაძე** იაში ირაკლის-ძე — ბოლნისის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ხაკოფი** იაკობ ილარიონის-ძე — სოფელ წითელი სოფლის ს. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა ს. წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **მჩიტაშვილი** მიხეილ კონსტანტინეს-ძე — ბოლნისის რაიონის საფინანსო-სანაბეჭდ მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **აბაშიძე** ბარბალე გიორგის ასული — ბოლნისის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **უგრეხელიძე** თადეოზ ბერონა-ძე — თავდაცვა-ავიაქიმის ბოლნისის რაიონული საბჭოსაგან, **ოსმანოვი** ჯალილ ოსმანის-ძე — სოფელ არაბლოის კოლმეურნეობა „კომენიზმის“ პირველადი კომეონისტური ორგანიზაციისაგან, **ახმედოვა** ნაზენა რუსტამ ყზი—სოფელ დარბაზის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **გოლოვა** სერაფიმა ვასილის ასული — ბოლნისის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **სანიკიძე** მარინა ვიქტორის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაიონული საბჭოს არჩევნების ბორჯომის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ზანგურიძე** სერგი ივანეს-ძე—ბორჯომის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჭელაძე** სერგი ხარდოიანის-ძე — ბორჯომის რაიონის სამედიცინო - სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **მიქელაძე** ალექსი მიხეილის-ძე — შრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაიონაბჭის აღმასკომის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ქავრელაშვილი** სოფიო ლეკა ასული — ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის ხე-ტყის სახერხი და ხის დამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან, **ზოლოტნიცკაია** ალექსანდრა პეტროს ასული — წითელი ჯვრისა და წითელი ნახევრამთვარის საზოგადოების ბორჯომის რაიკომისაგან, **მაისურაძე** ლება პეპოს ასული — სოფელ ქვაბისხევის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრებისაგან, **ზერიკიძე** ალექსი ილიას-ძე — ორჯონიკიძის სახელობის ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის მუშამოსამსახურეთა და ინჟენერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ჯაკაკეი** ელისაბედ დიონისის ასული — ბორჯომის ფეიქრის ფაბრიკის მუშამოსამსახურეთაგან, **გრიგორიანი** მინელ არეთინის-ძე — კალინინის სახელობის ბორჯომის შუშის ქარხნის კომკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ვანის რაიონული საბჭოს არჩევნების ვანის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ნამოიშვილი** გურონტი ილარიონის-ძე — ვანის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გოგორიშვილი** პაპა ივანეს ასული — ვანის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **სანიკიძე** მერი ლეკას ასული — ვანის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **დიასამიძე** კაპიტონ არქიმისის-ძე — სოფელ გალმასანის კოლმეურნეობა „კომუნისტის“ წევრებისაგან, **ეფრემიძე** ფეოდოტე პავლეს-ძე—სოფელ შუამთის ტერიტორიული პირველადი კომეონისტური ორგანიზაციისაგან, **გოორკაიე** ფაცია ეგენეს ასული — სოფელ ზედა ციხესულორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **შენგელია** ამბერკი ფილიპეს-ძე — სარეწო არტელ „იბუდის“ მუშა-მოსამსახურეთაგან, **შალამბერიძე** არეთი გიორგის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ვანის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ლეკვაკა** ერასტი პორფილეს-ძე — სოფელ საკოხინის სტურუს სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ბაღდადანის რაიონული საბჭოს არჩევნების ბაღდადანის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მუსაევი** გამიდ მამედის-ძე — ვანის რაიონის კომეონისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ზაჰვერდოვი** მამედ ალი ოღლი — სოფელ ტაზაკენდის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრებისაგან.

(ბაგრძელება მე-3 გვერდზე)

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

(გაგრძელება)

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბალდასაროვი** არშალუს გაბრიელის-ძე — გარდაბნის რაიონის წყალთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ტურგიევა** ლარისა ალექსანდრეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ჯინჭარაძე** ამბროსი ივანეს-ძე — გარდაბნის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ვახვახიშვილი** ბარბალე ილიას ასული — გარდაბნის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **შიდენკო** კონსტანტინე ივანეს-ძე — გარდაბნის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ლისიცა** ულიანა ალექსის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გარდაბნის მემინდვრეობის ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეთა და მეცნიერი მუშაკებისაგან, **ქიაზიმოვი** მარ ალი ალექფერის-ძე — გარდაბნის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

მშრომელთა დეპუტატების გეგეჭკორის რაიონული საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ხაინდრავა** კირილე ივანის-ძე — გეგეჭკორის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ქუთათელაძე** სოლომონ პავლეს-ძე — გეგეჭკორის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ოსიძე** ელენე ნიკოლოზის ასული — გეგეჭკორის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **რატიანი** ბაბუცა ლუკას ასული — გეგეჭკორის სუბტროპიკული მეურნეობის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ბაჩილავა** ერასიმე გიგოს-ძე — აბჯესის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ჯანაშია** რაფიელ ილარიონის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის გეგეჭკორის რაიონული ორგანიზაციისაგან, **თოდუა** ვალერიან თევდორეს-ძე — სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **დანელია** ნინო ივანეს ასული — სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **მახათაძე** ქენია გაბრიელის ასული — გეგეჭკორის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს არჩევნების გორის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ქვლივიძე** დიმიტრი ტერენტის-ძე — გორის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **სამადლიშვილი** ელენე ვასილის ასული — გორის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ქინქლაძე** დიომიდე ვასილის-ძე — მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **არჩვაძე** გიორგი ვასილის-ძე — მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთაგან, **ბიბილაშვილი** შალვა ბათქას-ძე — სოფელ კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ნადირაძე** მათიკო პეტრეს ასული — გორის საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **დოლიძე დიმიტრი ილიას-ძე** — ქვემო ახალსოფლის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ყაზარაშვილი** თამარ ივანეს ასული — სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობა „განთიადის" წევრებისაგან, **ჯანეზაშვილი** ნინო გიორგის ასული — მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის განმრთელობის დაცვის განყოფილების კომკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონული საბჭოს არჩევნების გურჯაანის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ქაჩლიშვილი** სოლომონ ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **აბაზაშვილი** გიორგი არუთინის-ძე — გურჯაანის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ოსიპოვა** ხრანუშა სერგის ასული — გურჯაანის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **სიხარულიძე** ივანე ისიდორეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან, **გიორგობიანი** ავთანდილ სერგის-ძე — გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ხოტენაშვილი** დათა გიორგის-ძე — სოფელ შაშიანის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **აკოფაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — სოფელ კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **სამნიაშვილი** ნინო გიორგის ასული — ველისციხის საშუალო სკოლის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან, **პაპუნაშვილი** თამარ სოლომონის ასული — სოფელ გურჯაანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციის" პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების დმანისის რაიონული საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გულიევი** მამედ გოჯა ოღლი — დმანისის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მუჯირიშვილი** მირმან ალექსის-ძე — სოფელ დიდი გომარეთის კოლმეურნეობა „წითელი თრიალეთის" წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჩალიშევი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — დმანისის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **მამედოვა** იასამან ორუჯ ყიზი — სოფელ კიროვისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ნაბიევი** ალი დუნიამალი ოღლი — დმანისის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **სამოილოვა** მარიამ ალექსის ასული — სოფელ დმანისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **დევნოზაშვილი** მარიამ ვასილის ასული — სოფელ კალამშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების დუშეთის რაიონული საბჭოს არჩევნების დუშეთის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მწითური** შალვა გაბრიელის-ძე — დუშეთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მდორეული** თამარ ესტატეს ასული — სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **როსტიაშვილი** ნინო სიმონის ასული — დუშეთის პედაგოგიური სასწავლებლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **კეზელი** ბარბალე პეტრეს ასული — დუშეთის საშუალო სკოლის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან, **პირმისაშვილი** ვახტანგ აბრამის-ძე — დუშეთის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ბურდული** ელენე გიორგის ასული — დუშეთის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ნონიევა** მარგარიტა გრიგოლის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დუშეთის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ოდიშელიძე** ხვთისო პეტრეს-ძე — სოფელ ლაფანაანთკარის კოლმეურნეობა „შრომის" რემედასის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ხისფეხიშვილი** აბრამ გრიგოლის-ძე — სოფელ ლამოვანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ზემო სვანეთის რაიონული საბჭოს არჩევნების ზემო სვანეთის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მერლანი** ალექსანდრე მურზას-ძე — ზემო სვანეთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ნაკანი** ოლღა ტარასის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ზემო სვანეთის რაიონული ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ფილფანი** ჯოკია ალექსანდრეს-ძე — ზემო სვანეთის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **გასვიანი** პიმენ ტარასის-ძე — ზემო სვანეთის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან, **შუქვანი** დარინე მურზას ასული — სოფელ ლენჯერის გლეხთა საერთო კრებისაგან, **მეგენეიშვილი** ვერა ერმალოზის ასული — მესტიის საშუალო სკოლის პედაგოგთა კომკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ფილფანი** გალაქტიონ მაქსიმეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების ზემო სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან, **ფალიანი** ვასილ მამურზას-ძე — მესტიის სასოფლო საბჭოს გლეხთა საერთო კრებისაგან, **ჯაფარიძე** ქიონია იოსების ასული — ზემო სვანეთის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაიონული საბჭოს არჩევნების ზესტაფონის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კობახიძე** ნიკოლოზ ამბროსის-ძე — ზესტაფონის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კახელი** ნინო ესეს ასული — სოფელ ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ფერაძე** სიმონ ვლადიმერის-ძე — ზესტაფონის მტს-ის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **შეყრილაძე** არჩილ ონისიმეს-ძე — ზესტაფონის რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **გველესიანი** მამია ალექსანდრეს-ძე — ზესტაფონის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ჭითანავა** გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ფერაძე** სავლე ნესტორის-ძე — ლ. პ. ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ჭელიძე** თამარ მელიტონის ასული — ზესტაფონის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ბაბლიძე** ეკატერინე სიმონის ასული — ზესტაფონის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიონული საბჭოს არჩევნების ზუგდიდის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გობეჩია** გუგუ ვლადიმერის-ძე — ზუგდიდის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ალშიბაია** კალისტრატე მარკოზის-ძე — ზუგდიდის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **შენგელი** შალვა ვლადიმერის-ძე — ზუგდიდის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ჯიქია** ლუცია მალაქიას ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციისაგან, **სარსანია** ქსენია პავლეს ასული — სოფელ ინგირის კოლმეურნეობა „ინგირის" წევრებისაგან, **ჩახაია** ამალია პორფილეს ასული — ზუგდიდის რაიონის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ცხადაია** მევონა ლეონტის-ძე — ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან, **დგებუაძე** ნინო კალისტრატეს ასული — ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის საკავშირო ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის მუშა-მოსამსახურეთა და მეცნიერ-მუშაკთაგან, **ნიკოლაევა** ვერა აპოლონის ასული — ენგურის ქაღალდის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ყაზბეგის რაიონული საბჭოს არჩევნების ყაზბეგის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ტამასხანოვი** ფიდო ანდრიას-ძე — ყაზბეგის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დავითაშვილი** ოლღა დავითის ასული — ყაზბეგის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ხახლიშვილი** ვახტანგ გიორგის-ძე — ყაზბეგის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ვალიშვილი** ბარბალე გიორგის ასული — სოფელ ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ფირანაშვილი** გაიოზ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ყაზბეგის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ხულელიძე** ბართლომე ვლადიმერის-ძე — სოფელ ტოტის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **აბაევა** ეკატერინე ალექსის ასული — თავდაცვა-ავიაქიმის ყაზბეგის რაიონული საბჭოსაგან.

მშრომელთა დეპუტატების ქარელის რაიონული საბჭოს არჩევნების ქარელის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **პავლიძე** სიმონ ალექსის-ძე — ქარელის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დაბრუნდაშვილი** შალვა მიხეილის-ძე — ქარელის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **სალიბეგაშვილი** ევგენია ალექსანდრეს ასული — ქარელის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **კოპაძე** მარიამ ალექსის ასული — ქარელის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ნოზაძე** სოლომონ ვასილის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქარელის რაიონული ორგანიზაციისაგან, **გელაშვილი** რომან გიორგის-ძე — ქარელის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან, **აბაშიშვილი** ოლღა ვასილის ასული — სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **იმერლიშვილი** ქიტა თევდორეს-ძე — სოფელ ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ლამბაშიძე** შალვა დავითის-ძე — აგარის შაქრის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების კასპის რაიონული საბჭოს არჩევნების კასპის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გეჯაძე** ვლადიმერ იოსების-ძე — კასპის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ალექსიძე** — ვახტანგ მიხეილის-ძე — კასპის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ხუციშვილი** სოლომონ ზაქარიას-ძე — კასპის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **შარაშიძე** ევგენი ლავრენტის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ჩხეიძე** ნინო ვლადიმერის ასული — კასპის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **მარიდაშვილი** სოფიო ანდრიას ასული — სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობის" წევრებისაგან, **გელაშვილი** პავლე გიორგის-ძე — კასპის ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **მილაძე** ოლღა ზაქარიას ასული — კასპის შიფერის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ტერტერაშვილი** თებრო დიმიტრის ასული — სოფელ კასპის კოლმეურნეობა „ძმობის" წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების კაჭრეთის რაიონული საბჭოს არჩევნების კაჭრეთის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ნიბლაძე** ზურაბ ზაქარიას-ძე — კაჭრეთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გაგოშიძე** სეით ანტონის-ძე — კაჭრეთის რაიონის მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **მელაძე** პელაგია პავლეს ასული — კაჭრეთის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ზაქალაშვილი** ნატო თომას ასული — სოფელ ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **გოგია** იაკობ დუტუს-ძე — კაჭრეთის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **მთავრიშვილი** ანა სერგის ასული — სოფელ კაჭრეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **გიოშვილი** ალექსანდრა ალექსანდრეს ასული — მშრომელთა დეპუტატების კაჭრეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ბეროშვილი** იოსებ იოსების-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის კაჭრეთის რაიონული ორგანიზაციისაგან, **გორაკუდაშვილი** შარიფ ალექსის-ძე — კაჭრეთის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს არჩევნების ყვარლის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მირიანაშვილი** დავით მათეს-ძე — ყვარლის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **სეფაშვილი** ადამ გიორგის-ძე — სოფელ ყვარლის კოლმეურნეობა „ახალი წყაროს" წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბრაგვაძე** შოთა გიორგის-ძე — ყვარლის რაიონის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ხუციშვილი** ბებერო გიორგის ასული — სოფელ გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის" წევრებისაგან, **ნანიკაშვილი** ბაბულია ზაქარიას ასული — საბუის საშუალო სკოლის პედაგოგთა კომკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ჯავახიშვილი** ნუშო ვასილის ასული — სოფელ ახალსოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ცისკარიშვილი** ვასილ ალექსის-ძე — სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ბაიდოშვილი** მარიამ იორდანეს ასული — მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან, **ჭერაშვილი** გიორგი ზაქარიას-ძე — ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ქვემო სვანეთის რაიონული საბჭოს არჩევნების ქვემო სვანეთის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ზურაბიანი** რამინ ივანეს-ძე — ქვემო სვანეთის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **პურელიანი** ევგენი ტარასის-ძე — სოფელ ლექსურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ონიანი** ივანე პეტრეს-ძე — ქვემო სვანეთის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ახვლედიანი** ლარისა ილარიონის ასული — თავდაცვა-ავიაქიმის ქვემო სვანეთის რაიონული საბჭოსაგან, **პირველი** ევგენია გრიგოლის ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ონიანი** დანიელ იასონის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქვემო სვანეთის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ახვლედიანი** მარიამ მიხეილის ასული — ლენტეხის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ქლუხორის რაიონული საბჭოს არჩევნების ქლუხორის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჭანკვეტაძე** აკაკი გრიგოლის-ძე — ქლუხორის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ბერეგოვოი** პეტრე გიორგის-ძე — ქლუხორის სამრეწველო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბიჭაშვილი** ილია ნესტორის-ძე — ქლუხორის რაიონის მტს-ების და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ლობჟანიძე** შალვა ვასილის-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქლუხორის რაიონული ორგანიზაციისაგან, **კუპრაძე** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — ტებერდის საკურორტო სამმართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციისაგან, **მოროზოვა** ზინაიდა ანდრიას ასული — ქლუხორის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **მეტრეველი** თამარ ლუკას ასული — სოფელ ახალშენის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის რაიონული საბჭოს არჩევნების ქუთაისის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ფესტვენიძე** იონა მიხეილის-ძე — სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრებისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **შავგულიძე** გრიგოლ ვლადიმერის-ძე — ქუთაისის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **ფურცხვანიძე** ალექსანდრე ნესტორის-ძე — ქუთაისის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ლეპსიწვერიძე** ერმილე მათეს-ძე — ქუთაისის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ამაღლობელი** ქეთევან იოსების ასული — ქუთაისის რაიონის მტს-ების და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირისაგან, **სოფრომაძე** ლოლა სილოვანის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქუთაისის რაიონული ორგანიზაციისაგან, **აბაზაძე** ნადეჟდა იოსების ასული — სოფელ ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციისაგან, **ნარჩემაშვილი** ფეოდოსია ალექსანდრეს ასული — წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ქუთაისის რაიკომისაგან, **სოფრომაძე** ალექსანდრე პეტრეს-ძე — სოფელ ნაღარევის კოლმეურნეობა „სტალინის გზითის" რემედასის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაიონული საბჭოს არჩევნების ლაგოდეხის რაიონული საარჩევნო კომისია:

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ხუციშვილი** ფორე გიორგის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მჭედლიშვილი** ლიდა ნესტორის ასული — ლაგოდეხის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის მდივანი — **სიმონიშვილი** დავით სტეფანეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

რაიონული საარჩევნო კომისიის წევრები: **ბეგიაშვილი** ანასტასია კონსტანტინეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციისაგან, **ელაშვილი** სირან ივანეს ასული — სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომის" წევრებისაგან, **გოგაშვილი** შალვა მოსეს-ძე — სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, **ყარალაშვილი** მარიამ გრიგოლის ასული — ლაგოდეხის საფერმენტაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან, **ჯანიაშვილი** თამარ ივანეს ასული — ლაგოდეხის რაიონის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირისაგან, **ოშკო** პეტრე ივანეს-ძე — სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მშრომელები საარჩევნო კომისიებში ასახელებენ მოწინავე საბჭოთა პატრიოტებს

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა

გუშინ, 15 ნოემბერს, შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრება, მიძღვნილი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოსა და ლენინის რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატების დასახელებისადმი.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ლოლაძის მოკლე სიტყვის შემდეგ კრება შეუდგა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატების დასახელებას.

სიტყვა აიღო სატენდერო საამქროს წუნმდებელმა ინჟინერმა გ. მნაცაკანოვმა. საამქროს კოლექტივის სახელით მან მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა საქვაბე საამქროს მოწინავე სტახანოველი ამხ. ი. ბაბაევი.

მექვაბე ბაბაევი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის. ეს სიყვარული მან თავდადებული შრომით დაიმსახურა. იგი 400-500 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ გეგმას. მას ეკუთვნის მრავალი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელმაც სახელმწიფოს ათეული ათასობით მანეთი მოგება მისცა. ამხ. ბაბაევი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიცაა. ამიტომ იყო, რომ მის დასახელებას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ კრების მონაწილენი.

სახალხო ვაგონების საამქროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. პ. ვოიჩაგმა ლენინის რაიონული საბჭოს არჩევნების № 14 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ინჟინერი ი. რამიშვილი. მუშა-მოსამსახურეთა შორის იგი ცნობილია როგორც უნარიანი ხელმძღვანელი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი.

მთელ საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ ქარხნის ელექტროშემდუღებელს ნოვატორ შ. ნადირაძეს. მან შექმნა ურთულესი ცილინდრების შედუღების საკუთარი მეთოდი. როგორც კარგი სპეციალისტი, ამხ. ნადირაძე გზათა მინისტრის მიერ 7 თვის წინათ გაგზავნილ იქნა ჩვენი ქვეყნის სხვა ქარხნებში მისი მეთოდის დასანერგავად. შაქრო ნადირაძის ადგილას ახლა მუშაობს მისი შვილი 19 წლის კომკავშირელი კარლო ნადირაძე. მას ზედმიწევნით ათვისებული აქვს მამის პროფესია და ყოველდღიურ გეგმას 300-400 პროცენტით ასრულებს. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის კარლო ნადირაძე ამას წინათ საპატიო სიგელით დააჯილდოვა. მუშა-მოსამსახურეთა კრებამ რაიონული საბჭოს არჩევნების № 42 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად წამოაყენა ახალგაზრდა სტახანოველი ნოვატორის კარლო ნადირაძის კანდიდატურა.

სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა თბილისის საქალაქო და ლენინის რაიონული საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში სულ წამოაყენა 82 მოწინავე ადამიანი.

ავტოსარემონტო ქარხანა

მრავალი მოწინავე ადამიანი წამოაყენეს საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელსაც 700 კაცი დაესწრო, თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა უპარტიო მუშა, სტახანოველი მჭედელი ვლადიმერ გაბრიელის-ძე ლუდუშაური. პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. სულაძემ ვ. ლუდუშაური დაახასიათა როგორც საუკეთესო მუშა. ამას ისიც ადასტურებს, რომ მან ორი წლის დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულა.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გარდავაძემ თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა სამამულო ომის მონაწილე, მოწინავე ხარატი თ. ციმბალი, რომელმაც თავი ისახელა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებით. ის დღიურ დავალებებს 350 პროცენტით ანაღდებს.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ინჟინერ-კონსტრუქტორი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი კომუნისტი თ. ფოცხვერია.

კომკავშირულმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარსაგზავნად დაასახელა სტახანოველი ხარატი დ. გობეჯიშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 400 პროცენტით ანაღდებს.

საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წამოყენებული არიან აგრეთვე დურგალი ლ. ჭელიძე, ზეინკალი გ. პაპუნაშვილი, ინჟინერი გ. პაპავა და სხვები, სულ 53 კაცი.

რუსთავი

დიდი აღმავლობით მიმდინარეობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის სამშენებლო სამმართველოებსა, კანტორებსა და ქარხნის საამქროებში კრებები, მიძღვნილი საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატების წამოყენებისადმი.

მოქმედი საამქროებისა და განყოფილებების კოლექტივებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში წამოაყენეს ქარხნის და მშენებლობის საუკეთესო ადამიანები: ახალგაზრდა სტახანოველი გრიგოლ გრიგოლის-ძე ჩიქოვანი, მექანიკური საამქროს უფროსი ბიკენტი მიხეილის-ძე ღლონტი. საქარხნო სამმართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად დაასახელა მარიამ ივანეს ასული ქალნინა, ხის დამმუშავებელი საამქროს მუშაკებმა — ახალგაზრდა სტახანოველი დურგალი გივი ამბროსის-ძე გვაზავა.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციისაგან საოლქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატად დასახელებულია დიდიკო ალექსანდრეს-ძე ბაქრაძე, მუშათა მომარაგების განყოფილების პარტორგანიზაციისაგან — ემელიანე გიორგის-ძე ცხომელიძე, მეტალურგმშენის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისაგან — შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ლევ პავლეს-ძე კობოზოვი, აზოტ-ტუკის ქარხნის კოლექტივისაგან—ევდოკია პეტრეს ასული ბაკუნინა. სულ მშრომელთა დეპუტატების გარდაბნის რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა წამოაყენა 35 მოწინავე ადამიანი.

გორი

გორის რაიონის მშრომელები რაიონული საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ასახელებენ საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს. სოფელ თორტიზის კოლმეურნეთა საერთო კრებამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა მოწინავე ბრიგადირი ნიკოლოზ სირბილაძე. იგი მაღალი მოსავლის ოსტატია. ამავე კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიაში დაასახელა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ორდენოსანი სამსონ ბერძნიშვილი.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეთა კრებამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოაყენა სტახანოველი კოლმეურნე ქენია ცარელაშვილი. გორის საკონსერვო ქარხნის პარტორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელა ლაბორანტი ბაბულია მაჩიტაძე.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში გრძელდება საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა დასახელება.

დეპუტატის სიტყვა და საქმე

აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მე-8 ბრიგადის ხელმძღვანელს ელპიტე არველაძეს, რომელსაც ხალხმა დიდი ნდობა გამოუცხადა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია, არაერთხელ უსახელებია თავი საკოლმეურნეო შრომაში.

ამხანაგ სტალინისათვის ქართველი გლეხობის მიერ გაგზავნილ წერილთან დაკავშირებით ამხ. არველაძემ იკისრა ჰექტარზე მოეყვანა 70 ცენტნერი სიმინდი. მან ენერგიული შრომით პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — ჰექტარზე 77 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

განუხრელად ვზარდოთ სტახანოველთა რიგები

ვახტანგ პატარქალაშვილს მიელიან საამქროში

საორთქლმავლო დეპოს შუშაბანდიან თაღს ქვეშ როცა ორთქლმავალს სარემონტოდ ჩამოაყენებენ, დაშლიან და „მტკივნეულ“ ნაწილებს გამოაცლიან, მუშები გაიხსენებენ ხოლმე ვახტანგ პატარქალაშვილს.

—ხედავთ, ეს საკისარი ისე მოცვეთილია, რომ მას ვახტანგის ხელი ესაჭიროება!

ოქროს ხელი აქვსო, ამბობენ მასზე და მთელმა დეპომ იცის, რომ ის დეტალები, რომლებსაც ეს ახალგაზრდა სტახანოველი შეადუღებს, ახალ დეტალებზე არანაკლებ გამძლე და კარგი იქნება. მაგრამ ვახტანგ პატარქალაშვილმა დედაქალაქის მრეწველობის მუშაკთა საზოგადოებრიობაში მარტოოდენ იმით როდი გაითქვა სახელი, რომ მაღალხარისხოვან დეტალებს აკეთებს. ამავე დროს იგი მაღალნაყოფიერი შრომის იშვიათი ოსტატიცაა, როგორც იტყვიან, ხელბარაქიანი მუშაა.

1935 წელს, როცა ირმინოს შახტში პირველად დაიქუხა ალექსი სტახანოვის სახელმა, როცა სიტყვა „სტახანოველი“ ლექსიკონებში შეჭრილდათ, როგორც მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე გასაგები სიტყვა, ვახტანგ პატარქალაშვილი, მაშინ ჭაბუკი ხარატი ის-ის იყო დამოუკიდებლად იწყებდა მუშაობას. 12 წელიწადმა განვლო მას შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ვახტანგი გაიზარდა, დავაჟკაცდა, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე გახდა. ამბობენ, ყველა ადამიანს აქვს თანდაყოლილი ერთი რამ განსაკუთრებით გამოვლინებული უნარი და თუ ამ უნარის მიხედვითაა პროფესია მიგნებული, ეს ადამიანი თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი იქნებაო. თუ ეს მართალია, უთუოდ მართალია ისიც, რომ ვახტანგ პატარქალაშვილს მიუგნია პროფესიისათვის თავისი უნარისა და მოწოდების მიხედვით.

ლითონთა შედუღების „საიდუმლოება“ ვახტანგ პატარქალაშვილს ძველმა თბილისელმა დეპოელმა მუშამ, მაღალკვალიფიციურმა ოსტატმა დავით გეჯაძემ ასწავლა. თავიდანვე შეუყვარდა გეჯაძის მოწაფეს ეს საქმე და, რაც დრო გადიოდა, თანდათან უკეთ ეუფლებოდა ლითონთა ხასიათს. ახლა საკმაოა ვახტანგმა ერთხელ გადახედოს შესადუღებელ დეტალს, თვალი არ მოატყუებს, წამსვე მოისაზრებს, სად რა სისქის დანადებია საჭირო, სად რა ლითონი გამოიყენოს, როგორ მოაწყოს მუშაობა, რათა სამუშაო უმოკლეს დროში, ფიზიკურ ძალთა დაუძაბავად შეასრულოს.

ახლა შემდუღებელ ვახტანგ პატარქალაშვილს თვითონ ჰყავს მოწაფეები. იგი მათ ხელობას კი არა, მუშაობის მეთოდებს ასწავლის, საკუთარ გამოცდილებას უზიარებს, მუშაობის რაციონალურად მოწყობას აჩვევს. მისი მოწაფეები არიან, მაგალითად, გიორგი ბოგველი, დიმიტრი გუგულაშვილი, არსენ ბერიაშვილი და სხვები. ყველანი დეპოს მოწინავე ადამიანები არიან, გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. თვითონაც საუკეთესო სტახანოველებად ითვლებიან, მაგრამ პატარქალაშვილთან სწავლას მაინც განაგრძობენ. მიღწეულით არ დაკმაყოფილება, წინსწრაფვა, ახალი სიმაღლეების დაპყრობა ჩვენი ეპოქის — სტალინური ეპოქის შვილების დევიზია, ჩვენი სტახანოველების დამახასიათებელი თვისებაა.

ვახტანგ პატარქალაშვილის გამოცდილებით ხელმძღვანელობენ არა მარტო მისი უშუალო მოწაფეები, მისივე პროფესიის წარმომადგენლები, არამედ საორთქლმავლო დეპოს სხვა საამქროებში მომუშავენიც. ამან დიდად შეუწყო ხელი დეპოელთა საერთო წარმატებას. წლიური საწარმოო დავალების ვადამდე ორი თვით ადრე შესრულებას. საქმე ის არის, რომ როგორც შემდუღებელ პატარქალაშვილს, ისე სხვა საამქროებში მომუშავეებს — ხარატებს, ზეინკლებს, მჭედლებს, მრანდავებს და ყველა სხვა პროფესიის სტახანოველებს მრავალგვარ სამუშაოთა შესრულება უხდებათ ყოველდღე ორთქლმავალთა გასაჯანსაღებლად. ამ სამუშაოთა ხასიათი იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი სერიის ორთქლმავალს ჩამოაყენებენ სარემონტოდ. პატარქალაშვილმა შეიმუშავა ასეთი მეთოდი: ჯერ იგი ეცნობა სამუშაოს ხასიათს—რა და რა დეტალებია მიტანილი სარემონტოდ, ერთად აწყობს ერთგვარ დეტალებს, იმარაგებს ხელსაწყოებს, ნედლეულს, და საქმეს ისე აწყობს, რომ მუშაობის პროცესში არცერთი წუთი არ გაცდეს.

ამ წესით მუშაობის შედეგად მან 1946 წელს და 1947 წლის 10 თვეში შეასრულა 24.610 საათის სამუშაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახტანგ პატარქალაშვილმა წელიწადსა და 10 თვეში გაანაღდა 10 წლისა და 6 თვის ნორმა.

მისი მეთოდით მუშაობის დანერგვის შედეგად საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს სხვა შემდუღებლებმაც და ყველა სხვა პროფესიის სტახანოველებმა. შემდუღებელმა გ. ბოგველმა, მაგალითად, 1 ნოემბრისათვის 6 წლის ნორმა გაანაღდა, მეორე შემდუღებელმა დ. გუგულაშვილმა—5 წლის ნორმა, აწევითი რემონტის საამქროს ზეინკალმა ბ. ხმიადაშვილმა—7 წლის ნორმა, მეორე ზეინკალმა ვლ. ნიკოლეიშვილმა — 6 წლის ნორმა, მჭედელმა მ. ინჯიაშვილმა—5 წლისა და 3 თვის ნორმა და ა. შ.

123 ასეთი მიმდევარი ჰყავს ვახტანგ პატარქალაშვილს თბილისის საორთქლმავლო დეპოში.

ამჟამად ვახტანგი შვებულებაშია, ორთქლმავლები კი ყოველდღე შემოდიან დეპოში და შუშაბანდიან თაღებს ქვეშ სარემონტოდ დგებიან. პატარქალაშვილის ამხანაგები შეწყობილად იწყებენ მუშაობას ამ ორთქლმავლების გასაჯანსაღებლად და დროით აბრუნებენ უკანვე მატარებლების წასაყვანად. ყველაზე მეტი დაძაბულობით უხდებათ მუშაობა შემდუღებლებს. საამქროს ოსტატი არჩილ პეტრიაშვილი იძულებული ხდება საქმის დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად თვითონაც წაეხმაროს შემდუღებლებს და განახლებული საკისრები, მკვეთრები, საარმატურო კორპუსები დროით მიაწოდოს ორთქლმავალთა ამწყობებს. კიდევ რამდენიმე დღე, პატარქალაშვილი დაბრუნდება შვებულებიდან და მაშინ ამ უბანზე შეფერხება აღარ იქნება მოსალოდნელი.

ამიტომ მიელიან საამქროში ვახტანგ პატარქალაშვილს.

დ. ამირანიძე

მრავალდაზგოსანი ფეიქრები

უკვე 18 წელია, რაც მწყობრში ჩადგა ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის პირმშო—თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკა. ამ ხნის მანძილზე ფაბრიკაში მრავალი მაღალკვალიფიციური ფეიქარი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი აღიზარდა. მ. ივანისელი, ნ. ზარქუა, ნ. კოშკაძე, ა. ბაქრაძე და ნ. პონომარენკო, დღევანდელი წარჩინებული სტახანოველები იმ დროს მოვიდნენ ფაბრიკაში, როდესაც ჯერ კიდევ ყველა საამქრო არ იყო ამუშავებული. ისინი მალე დაეუფლნენ ფეიქრის პროფესიას და შემდეგ თავიანთ ცოდნას ფაბრიკაში ახლად მოსულ მუშებს უზიარებდნენ. სტახანოვური მოძრაობის გარიჟრაჟზე ისინი პირველნი გახდნენ მრავალდაზგოსნები.

დიდი სამამულო ომის წლებში ფაბრიკაში სამუშაოდ ორასზე მეტი ქალი მოვიდა. ბევრმა მათგანმა ფრონტზე წასული მამები, ძმები და ნათესავები შესცვალა. მ. ბარათაშვილმა და ლ. სოლომანიშვილმა ფრონტზე წასული თავიანთი მამების ადგილი დაიკავეს საქსოვ საამქროში. ომის წლებში მოვიდნენ აგრეთვე დ. არჩვაძე, ს. ვაჭარაძე, ნ. ხიდაშელი. ახლა ისინი მრავალდაზგოსანი ფეიქრები არიან.

მოწინავე სტახანოველთა რიგებშია ორდენოსანი მქსოველი ლ. ასათიანი. კადრის ამ ძველი ფეიქრების მხარდამხარ დგანან ომისშემდგომ წლებში ფაბრიკაში მოსული ნ. ჭკუასელი, ნ. ცხვედაძე, ა. სარიჩევა, გ. თალაკვაძე და ათობით სხვა სტახანოველი. ფაბრიკის სამასამდე მოწინავე ფეიქარი მაღალნაყოფიერი სტახანოვური შრომისათვის დაჯილდოებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ორდენებითა და მედლებით.

კამვოლური საამქრო, სადაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარიამ ივანისელი მუშაობს, ყველაზე მოწინავეა ფაბრიკაში. ლენინგრადელთა მიმართვამ საამქროს მუშათა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ამ აღმავლობას სათავეში ამხ. ივანისელი ჩაუდგა. მისი თაოსნობით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. საამქროს 196 მუშამ დიდი ოქტომბრის ზეიმის დღისათვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრა იკისრა. ფეიქრებმა სიტყვა საქმედ აქციეს. მარიამ ივანისელმა 10 თვეში ორი წლის ნორმა შეასრულა და ახლა მესამე წლის გეგმის განაღდებისათვის მუშაობს. ათობით სტახანოველმა ერთნახევარი-ორი წლის ნორმები შეასრულა. საამქროში არ არის ისეთი მუშა, რომელიც ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

მისაბაძია ორდენოსანი მქსოველის ლ. ასათიანის მაღალნაყოფიერი შრომა. მან ფაბრიკაში ჯერ კიდევ აგვისტოში პირველმა გაანაღდა ორი წლის დავალება და 7 ნოემბრისათვის მესამე წლის ანგარიშში 9 ათასი მეტრი ქსოვილი მისცა სამშობლოს.

სტახანოველ ფეიქართა ნაყოფიერი შრომის შედეგია ის, რომ ფაბრიკის კოლექტივმა 6 ნოემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

დაუღალავად შრომობენ სტახანოველი ფეიქრები, რათა ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი ქსოვილი მისცენ.

ე. მღებრიშვილი

ბელგიის ხელისუფალნი კვლავ აბრკოლებენ სამშობლოში საბჭოთა მოქალაქეების დაბრუნებას

ბრიუსელი, 12 ნოემბერი. (საკდესი). 3 ნოემბერს გემით „მინინ ი პოჟარსკი“ ბელგიიდან სსრ კავშირში გაემართა საბჭოთა მოქალაქეების ახალი ჯგუფი, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან. რეპატრიირებულთა შორის არის 10 კაცი, რომლებიც საბჭოთა წარმომადგენლების მეცადინეობით განთავისუფლებულ იქნენ ბელგიის საპატიმროებიდან.

სამშობლოში საბჭოთა მოქალაქეების გამგზავრების წინ ბელგიის ხელისუფლებმა კვლავ სცადეს [illegible] საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაცია. იმ ნავსადგურში, საიდანაც გემი „მინინ ი პოჟარსკი“ უნდა გასულიყო, 20-ზე მეტი პოლიციელი გამოცხადდა. მათ დოკუმენტების შემოწმების საბაბით დაჰკითხეს საბჭოთა მოქალაქეებს, ამასთან ცდილობდნენ დაეშინებინათ ისინი და უარი ეთქმევინებინათ სამშობლოში დაბრუნებაზე.

ბაღდადის გაზეთი სუეცის არხის დაპყრობის ინგლისური გეგმების შესახებ

ბეირუთი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ბაღდადის გაზეთმა „რაი-ულ-ამმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „უეცარი ცვლილება ბრიტანეთის პოლიტიკაში და დეკლარაცია საერთაშორისო ზონად სუეცის არხის გარდაქმნის შესახებ“, რომელშიც სწერს: „ინგლისელებმა, რომელთაც არა სურთ სუდანის განთავისუფლება და აპირებენ იქ დარჩენას სუეცის კონტროლისათვის, შეჰქმნეს ვერსია, თითქოს არსებობს მოძრაობა ეგვიპტისაგან სუდანის გამოსაყოფად. მათ სურდათ თავს მოეხვიათ ეგვიპტისათვის „ერთობლივი დაცვის კომიტეტი“, რათა ამ გზით დაემორჩილებინათ მთელი ეგვიპტე. როცა ეგვიპტის საზოგადოებრივმა აზრმა უარჰყო ეს მანევრი და საქმე უშიშროების საბჭოს გადასცა, ინგლისელებმა ლაპარაკი დაიწყეს სუეცის არხის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. ჩვენ მოვახერხეთ გავცნობოდით პასუხისმგებელი პირის მნიშვნელოვანი მოხსენების შინაარსს, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრიტანეთის იმპერიალისტებს სურვილი გამოუთქვამს სუეცის არხი გადააქციონ საერთაშორისო ზონად, ტანჟერის მსგავსად. ამასთან სუეცი ოკუპირებულ უნდა იქნას მოკავშირეთა ძალებით ანდა, სანამ საერთაშორისო უშიშროების არმია შეიქმნებოდეს, არხის დაცვა მოკავშირეებმა ბრიტანეთს უნდა მიანდონ. მოკლედ რომ ვთქვათ, არხის ინტერნაციონალიზაციის საბაბით ინგლისელებს, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით მოქმედებენ, სურთ დარჩნენ სინაიზე და არხზე. ამერიკა, ნათქვამია მოხსენებაში, მხარს უჭერს ინგლისელების ამ იდეას“.

იტალიის ამბები

რომი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ჩრდილოეთ იტალიაში დაიწყო სახალხო აღშფოთებისა და პროტესტის მოძრაობა ფაშისტთა პროვოკაციების წინააღმდეგ, რაც დღემდე გრძელდება. მას შემდეგ, რაც 12 ნოემბერს მილანში ფაშისტი ელემენტების მიერ შეგდებული ბომბის აფეთქებით ძლიერ დაზიანდა კომუნისტური პარტიის ფედერაციის შენობის ნაწილი, ქალაქის 150 ათასი მშრომელი ცენტრალურ მოედანზე გამოვიდა და თავის აღშფოთებას გამოსთქვამდა ძახილით: „დროა ბოლო მოეღოს პროვოკაციებს! შელბას მოეთხოვოს პასუხი!“ (შელბა შინაგან საქმეთა მინისტრია).

პროფკავშირებისა და პოლიტიკური პარტიების ორატორები თავიანთ გამოსვლებში დე გასპერის მთავრობას ბრალად სდებდნენ, რომ იგი აქეზებს რეაქციასა და ფაშისტურ ელემენტებს, რომლებიც პროვოკაციულ მოქმედებას მიმართავენ იტალიაში.

მიტინგის დამთავრების შემდეგ განუწყვეტელი ფაშისტური პროვოკაციებით აღშფოთებულმა შეკრებილებმა გაანადგურეს მონარქისტული ფურცლის „მატინო დ'იტალიას“ რედაქცია და ფაშისტური ორგანიზაციების ზოგიერთი სექციის შენობები.

მილანში მშრომელებმა მუშაობა შესწყვიტეს ნაშუადღევს 3 საათზე, რათა მონაწილეობა მიეღოთ იმ მუშის დაკრძალვაში, რომელიც 11 ნოემბერს მოჰკლეს მილანის გარეუბან მედილიაში.

ჩრდილოეთ იტალიის მეტწილ ქალაქებში მოხდა მილანის მშრომელებთან სოლიდარობის დემონსტრაციები. ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები შესდგა ბოლონიაში, რეჯიოში, მოდენაში, ფერარასა და ემილიის სხვა სამრეწველო ცენტრებში. ვენეციასა და სპეციაში განადგურებულ იქნა კუალიუნკუისტების სექციები. ქალაქების მოედნებზე და ქუჩებში დემონსტრანტები საჯაროდ სწვავდნენ კიოსკებში ნაპოვნ ფაშისტურ გაზეთებსა და ჟურნალებს.

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა 12 ნოემბრის სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვს ყველა შენიღბული ფაშისტური ორგანიზაციის დაუყოვნებლივ დაშლას. ქრისტიანული დემოკრატიის პარტიის წარმომადგენლებმა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში გადაჭრით განაცხადეს უარი რეზოლუციისათვის მხარდაჭერაზე.

მემარცხენე დეპუტატებმა დამფუძნებელ კრებაში ახალი შეკითხვები მისცეს შინაგან საქმეთა მინისტრს და მოითხოვეს დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას გადამწყვეტი ღონისძიებანი ფაშისტ პროვოკატორთა წინააღმდეგ.

ამავე დროს ცნობები მთავრობის მოქმედების შესახებ მხოლოდ აძლიერებენ ჩრდილოეთ იტალიის ხალხთა მასების აღშფოთებას. ამ ცნობების მიხედვით, რომლებიც უკვე მოხვდა პრესაში, შინაგან საქმეთა მინისტრმა შელბამ მობილიზაცია უყო სამხედრო და საპოლიციო ძალებს და ბრძანება გასცა ჩრდილოეთში გაიგზავნონ ისინი მუშათა მღელვარების ჩასახშობად. ამავე დროს მთავრობამ გადასწყვიტა გადააყენოს მილანის პრეფექტი ტროილო, რომელიც მშრომელთა ნდობით სარგებლობს, და იგი თავისი კაცით შესცვალოს.

დამფუძნებელი კრების მემარჯვენე დეპუტატები თავიანთ შეკითხვებში, აგრეთვე რეაქციული პრესა დე გასპერის მთავრობისაგან მოითხოვენ „მტკიცე“ პოლიტიკას და „სამხედრო ღონისძიებებს“. ლიბერალების ორგანო „რისორჯიმენტო ლიბერალე“ დღეს აშკარად აცხადებს: იტალიის რეაქციას იმედი აქვს, რომ ინგლისელები და ამერიკელები ჩაერევიან იტალიის საქმეებში „იტალიაში წესრიგის აღდგენის“ საბაბით.

პრესის წარმომადგენელთა კითხვების პასუხად პალმირო ტოლიატიმ განაცხადა, რომ „მდგომარეობა უაღრესად სერიოზულია. მთავრობა ვალდებულია დაშალოს ფაშისტური ორგანიზაციები. მაგრამ როგორ შეუძლია ეს ჩაიდინოს დე გასპერის მთავრობამ, როცა იგი სწორედ ამ ძალებს ეყრდნობა?“

ალბანეთის ეკონომიური წარმატებანი

ტირანა, 14 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ბაშკიმი“ კომენტარს უკეთებს საგეგმო კომისიის კომუნიკეს ალბანეთის რესპუბლიკის ნაციონალური ეკონომიკის განვითარების გეგმის განხორციელების შედეგების შესახებ 1947 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში და სწერს „ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში მრეწველობა აღდგენილია და იგი დღეს მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე ომამდე. აგებულია აგრეთვე ახალი ფაბრიკები“.

„ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ, რომელიც პრიმიტიული იყო და ფეოდალების ხელში იმყოფებოდა, დიდი ცვლილებანი განიცადა არა მარტო დამუშავებული ფართობის გადიდების მხრივ, არამედ აგრეთვე მოსავლიანობის გადიდებისა და ისეთი ახალი კულტურების შემოღების მხრივ, როგორიცაა ტექნიკური კულტურები, რომლებიც მიწის მუშაკებს უფრო დიდ შემოსავალს აძლევენ. ამ წარმატებებმა განამტკიცეს ნაციონალური ეკონომიკა და მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესეს მშრომელთა მასების ცხოვრების პირობები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 26 ნოემბერს, დღის 3 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1), პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **უშანგი ოგბოლაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„დაწყებითი განათლება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში“.**

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი **გ. თავზიშვილი**, დოცენტი **დ. ლორთქიფანიძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ძმა გიორგი სტურუა მეუღლით ნინოთი, შვილებით: მელორი და დევი იუწყებიან ძველი რევოლუციონერის საყვარელი **ედუკი გიორგის ასულ კაკულიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ონტოფოში (აბაშის რაიონი) 18-XI.

გაზეთ „სტალინის დროშას“ რედაქციისა და სტამბის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან 6. ქლენტის შვილის **ეთერის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვლადიმერ, შვილი თინა ხავთასი, რძალი ეთერ ოჯახებით იუწყებიან **მანია აბაშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, გამოსვენება 18-XI, 5 ს. სუნჯენის, 10.

შვილები ხარიტონ, მაკარ, ცაცა, ძმბლა, ფაჩია, რძლები ნატაშა, რაისო, ფუშუტია ოჯახებით იუწყებიან **ალათი ხაბას ასულ ჩიქვანაია-კვარაცხელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XI, ზეგვეკორში.

მეუღლე გოგუცა, შვილები გვრიტო, სულიკო, დედა ელპიტე, ძმები მიშა, ეროდე ოჯახებით, დები მარო, ზულზულო, ქსენია, ჰაჰულა, ნატაშა იუწყებიან **ევგენი ერმილეს-ძე კორომინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-XI, 6 ს. გამოსვენება 18-XI, 4 ს. გორკის, 16.

ძმა ლავრენტი შენგელია მეუღლით ელენეთი იუწყებიან ძვირფასი დის **ედუკის** გარდაცვალებას.

ლირსა სტურუა შვილებით: ლენა, კოლია, რობერტი და ქენია იუწყებიან ძვირფასი **ედუკი კაკულიას** გარდაცვალებას.

დედა ელენე, მეუღლე მართა, შვილები ლაშა და რუსუდანი ულრმესი მწუხარებით იუწყებიან **სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშიას** გარდაცვალებას.

პეტრე და ლიდა შარია შვილებით მწუხარებას გამოსთქვამენ **სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშიას** გარდაცვალების გამო და ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტუბერკულოზის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება **ვერა მაყაშვილის** გარდაცვალებას.

ვ. ჩხეიძე, ლ. კუპაიძე, ს. ყიფიანი იუწყებიან **ნიკოლოზ დიანოსის-ძე აბზიანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XI, 5 ს. ქუთაისში, ლენინის, 6.

გოგუცა მხეიძე, თამარ ლექავა-თოდუაი, მარიამ ხეჩინაშვილი-კანდელაკი იუწყებიან **ვასო ქრისტეფორეს-ძე ციცქიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ელენე, შვილები მიტუშა, ქეთო, ფენია, ნათელი შარაშიძეები, სიძეები შოთა ზუეღლიშვილი, დავით აბესაძე შვილებით იუწყებიან **დიომიდე ბიქტორის-ძე შარაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XI, 5 ს. სამტრედიაში.

შვილები ელენე, მარო იმნაძეები, დავით და გურამ ჭეიშვილები იუწყებიან **ნატა ნიკოლოზის ასულ იმნაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XI, დვირში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის — 3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110.000

უე 12664